6653

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი
7 აგვისტო
1941 წ.
№ 185 (6190)
ფასი 15 კაპ.

სახელოვანო პარტიზანებო, გააძლიერეთ მტერზე შეტევა!

საყოველთაო-სახალხო სამამულო ომის ყოველ დღეს მტრის ზურგში უფროდაუფრო მკვეთრად, უფროდაუფრო გადაჭრით და ფართოდ ვითარდება პარტიზანული ბრძოლა. თვით ფაშისტები აღიარებენ, რომ ფრონტის ცნებამ წინანდელი მნიშვნელობა დაჰკარგა, ვინაიდან ფრონტის სიღრმე ხშირად ფაშისტთა მიერ დაკავებული მოწინავე პოზიციებიდან ზურგში 200-300 კილომეტრზე ვრცელდება. უკვე გაითქვეს სახელი პარტიზანთა ბელადებმა, — „პაპამ“, ვორონამ და სხვებმა, — საბჭოთა პატრიოტები მტრის ზურგში გმირული ბრძოლის ახალ-ახალ სახელოვან საქმეებს გვიჩვენებენ. პასუხად ამხანაგ სტალინის მოწოდებისა — მოაწყეთ მტრის ზურგში პარტიზანული რაზმები მტრის არმიის ნაწილების წინააღმდეგ საბრძოლველად, ხიდების, გზების ასაფეთქებლად, სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირის გასაფუჭებლად, ტყეებისა, საწყობებისა და ალალებისათვის ცეცხლის წასაკიდებლადო — ყველგან წმინდა ომს აჩაღებს ფაშისტთა მიერ დაკავებული ოლქების ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობა. პარტიზანები გამანადგურებელ ლახვარს სცემენ მტერს და უდიდეს საფრთხეს უქმნიან მას.

დასავლეთ ბელორუსიის ნ-ის რაიონში 100 კაცისაგან შემდგარი პარტიზანული რაზმი მოულოდნელად დაესხა თავს გერმანელთა მოტორიზებულ ქვეითს ჯარს და ბრძოლაში 150 გერმანელი ჯარისკაცი მოჰკლა. მეორე რაიონში მტრის 18 დიდი ტანკი მოსპეს პარტიზანებმა, რომლებმაც ტანკებს ალმოდებული ბენზინიანი ბოთლები ესროლეს. ქალაქ ნ-ის ჩრდილოეთ-დასავლეთით 80 კილომეტრზე პარტიზანული რაზმი ჩუმად მიეპარა გერმანელთა მიერ დაკავებულ სოფელს, სადაც მოსპო 62 მოტოციკლი და მოჰკლა 74 ჯარისკაცი და 2 ოფიცერი. მხოლოდ 12 მოტოციკლმა მოასწრო ამ სოფლიდან წასვლა. ქალაქ დ-ის ჩრდილოეთით 20 კილომეტრზე პარტიზანებმა იერიში მიიტანეს ფაშისტთა წინააღმდეგ, როდესაც გერმანიის ქვეითი ჯარის დიდმა რაზმმა გადასასვლელი ააგო და უკვე პონტონის ხიდზე იმყოფებოდა. პარტიზანებმა, რომლებიც მტერს ხელყუმბარებს, ტყვიამფრქვევებსა და თოფს უშენდნენ, ხელი შეუშალეს მას მდინარეზე გადასვლაში. პარტიზანებმა ხელთ იგდეს იარაღი, სურსათი და საომარი მასალით დატვირთული ალალი.

19 ივლისს პარტიზანთა მცირე ჯგუფები ქალაქ ნ-ის განაპირა უბანს მიუახლოვდნენ და მტერი შეუგულ საგარეუბნო ტყეში შეიტყუეს. როდესაც ფაშისტთა მნიშვნელოვანი ნაწილი ქალაქს დაშორდა, პარტიზანთა მთავარი ძალები მეორე მხრიდან ქალაქში შეიჭრნენ. პარტიზანებმა დახოცეს ყარაული, ცეცხლი წაუკიდეს საომარი მასალის საწყობებს, მოჰკლეს 85 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, ხელთ იგდეს 19 ავტომანქანა, 24 ტყვიამფრქვევი, ბატალიონის კანცელარია და ტყვეები.

ცხენოსანმა პარტიზანულმა რაზმმა ააფეთქა გერმანელთა მიერ აგებული ხიდი მდინარე ს-ზე, რის შემდეგ რაზმი ნაპირზე მდებარე ბუჩქნარსა და უახლოეს ტყეში დაიმალა. როდესაც ღამით მდინარეს გერმანელთა ავტოკოლონა მიუახლოვდა, ჩასაფრებულმა პარტიზანებმა მოულოდნელად ასტეხეს ტყვიამფრქვევის სროლა. აფეთქდა საომარი მასალით დატვირთული ავტომანქანები. პარტიზანები ანადგურებდნენ გაქცეულ ფაშისტებს და მოსპეს კოლონის ბადრაგის მთელი შემადგენლობა, ხელთ იგდეს საბრძოლო ნადავლი და ტყეში წავიდნენ.

ასეთი მაგალითები შეიძლებოდა ბევრი მოგვეყვანა, ასეთ მაგალითებს, უკვე ახლა, ასობით გვერდიც ვერ დაიტევს. ბელორუსმა და უკრაინელმა პარტიზანებმა პირველმა გამოიჩინეს ინიციატივა ამ ბრძოლაში, ვინაიდან მტერმა უკრაინისა და ბელორუსიის მიწა-წყალზე თავისი პირველი ნაბიჯებიდანვე დაიწყო მხეცური შურისძიება უკრაინისა და ბელორუსიის მოსახლეობის მიმართ. ბელორუსი პარტიზანები ფიცსა სდებენ, რომ არ დაჰყრიან იარაღს, ვიდრე ბელორუსიის მიწა-წყალზე მოსპობილი არ იქნება უკანასკნელი ფაშისტი ქვეწარმავალი. ისინი ფიცსა სდებენ სასტიკად, შეუბრალებლად და დაუღალავად იძიონ შური მტერზე ქალაქებისა და სოფლების დაწვისათვის, ჩვენი შვილების სიკვდილისათვის, ხალხის წამებისა, ძალადობისა და აბუჩად აგდებისათვის; ისინი ფიცსა სდებენ ყოველგვარი საშუალებით დაეხმარონ წითელ არმიას ჰიტლერელი ცოფიანი ქოფაკების მოსპობაში და არ დაზოგონ სისხლი და თავიანთი სიცოცხლე.

სისხლი სისხლისათვის და სიკვდილი სიკვდილისათვის!

სამხრეთ-დასავლეთის მიმართულების ჯარების მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის მარშლის ს. მ. ბუდიონნის და უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის ხელმოწერით გამოშვებულია მოწოდება ფაშისტთა მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისადმი. „თქვენ მოგმართავთ, გერმანელი ფაშისტების მიერ დაკავებული რაიონების მოქალაქენო. ყველა თქვენგანი, ვისაც იარაღის ტარება შეუძლია, შედით პარტიზანულ რაზმებში, შეჰქმენით პარტიზანთა ახალი რაზმები. გაანადგურეთ ჩვენთვის საძულველი გერმანელთა ჯარები, მოსპეთ ფაშისტები, როგორც ცოფიანი ძაღლები. ხრამში გადაავდეთ მათი მატარებლები, დაანგრიეთ კავშირგაბმულობა, ააფეთქეთ მათი საწყობები.

არცერთი გრამი პური მტერს! მომკეთ სწორედ იმდენი, რამდენიც თქვენ უახლოეს დროში გეყოფათ, დანარჩენი კი მოსპეთ. მოსპეთ ტექნიკური კულტურების, ჭარხლის, კოკ-საგიზის, სელის პლანტაციები...

ჩვენი გამარჯვების ჟამი ახლოვდება. მთელი ძალები მტერთან ბრძოლას მოახმარეთ! მთელი ძალები მის მოსპობას მოახმარეთ!“.

რუსმა ხალხმა იცის, რომ სჯობს სიკვდილი, ვიდრე მონობაში ცხოვრება, ვიდრე იმ მტრის წინაშე მუხლმოყრით ცხოვრება, რომელიც ყოველდღე გამცირებს, ყოველსაათობით გარცხვენს, ძალადობას იწევა და გძარცვავს.

რუს ხალხს პარტიზანული ბრძოლის უდიდესი გამოცდილება აქვს. ჯერ კიდევ 1812 წლის სამამულო ომის დროს რუსი პარტიზანების ბელადი დენის დავიდოვი სწერდა: „ნუთუ არ დაინგრევა, არ გაცამტვერდება, პირისაგან მიწისა არ აღიგვება ყოველივე, სულდგმული და არასულდგმული, იმ ქარიშხლის ფართო გზაზე, რაც ზურგში სცემს ლახვარს მტრის არმიას, რომელიც ამავე დროს ებრძვის ჩვენს მილიონიან არმიას, რომელიც თავისი სიმამაცით, დისციპლინითა და საჭურველით პირველი არმიაა მსოფლიოში?

რუსეთს ჯერ კიდევ არ გამოუჩენია მთელი თავისი გოლიათური ძალა და ვაი მის მტრებს, თუ იგი ოდესმე აღსდგა!“

საბჭოთა ხალხმა უკვე გვიჩვენა თავისი ძალა 1918-1920 წლების სამოქალაქო ომის პერიოდში, როდესაც პარტიზანები, რომლებიც წითელ არმიას ეხმარებოდნენ, მიერეკებოდნენ და ურტყამდნენ მტერს ბელორუსიაში, უკრაინაში, ურალსა და ციმბირში, კავკასიასა და შორეულ აღმოსავლეთში.

ახლა ყველა ხალხი ხედავს, თუ რა გოლიათურად აღიმართა დევგმირი, რომელსაც საბჭოთა ხალხი ეწოდება, თუ რა სიმამაცით, გამბედაობით, სიკვდილის წინაშე უშიშრობით, რა მტკიცე შეუპოვრობითა და გამარჯვების რწმენით იბრძვის ეს დევგმირი.

ხოლო მის გვერდით, გერმანიის საზღვრებს მიღმა, ფაშისტთა მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში საბრძოლველად გამოდიან ჰიტლერის ბანდების მიერ გასრესილი, გაწამებული ხალხები ევროპისა, რომლებიც მათ ვერ დაიმორჩილეს, და მათ შორის განსაკუთრებული ძალით იწყებენ ბრძოლას სლავი ხალხები ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, იუგოსლავიასა და სლავთა სხვა ქვეყნებში. იქმნება ანტიფაშისტური კავშირი, რომელშიც შედიან სსრ კავშირი, ინგლისი, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია; ამ კავშირს თანაუგრძნობენ და დახმარებას უწევენ ყველა ქვეყნის ხალხები. უკვე დღესაც სჩანს უდიდესი მნიშვნელობა იმ შეთანხმებებისა ფაშისტების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის შესახებ, რომლებიც საბჭოთა კავშირმა ინგლისის, ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის მთავრობებთან დასდო.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც პოლონეთში, დემბლიციდან 15 კილომეტრზე, პარტიზანებმა ხრამში გადაავდეს სამხედრო მატარებელი, რომელსაც საკავალერიო ნაწილი გადაჰყავდა. პარტიზანებმა მოსპეს 200-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, ხელთ იგდეს 180 ცხენი, საომარი მასალა და სურსათი.

20 ივლისს ჩეხოსლოვაკიაში ააფეთქეს იარაღის ეშელონი, რომელიც შკოდის ქარხნებიდან იყო გაგზავნილი. ივლისის მეორე ნახევარში ჩეხოსლოვაკიაში მატარებლების 11 მარცხი მოხდა. ერთი დიდი მარცხის დროს 250-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი დაიღუპა. იუგოსლავიაში ამასწინათ აჯანყებამ იფეთქა თვით ბელგრადში. ათიათასობით იუგოსლაველი პარტიზანები აწარმოებენ შეუპოვარ ბრძოლას, რომელიც დღითიდღე უფროდაუფრო ჩაღდება.

როგორც გერმანიის სარდლობის საიდუმლო ბრძანებებიდან სჩანს, იგი შეშფოთებულია პარტიზანული მოძრაობის ზრდით. ფაშისტები მალე დარწმუნდებიან, რომ ამხანაგ სტალინის მოწოდებამ — გაიშალოს მტრის ზურგში პარტიზანული ბრძოლა — მიაღწია ჩაგრულ ხალხთა მილიონიან მასებამდე მთელს მსოფლიოში.

დაე გაჩაღდეს ეს საყოველთაო-სახალხო ომი ფაშისტი მტარვალების წინააღმდეგ! დაე მტრის ზურგში იწვოდეს ქალაქები, ფეთქდებოდეს ხიდები, საომარი მასალისა და სურსათის საწყობები, ცეცხლი ეკიდებოდეს ტყეებს! ფაშისტებს უკვე არ შესწევთ ძალა ჩააქრონ ყველა ხალხის მოსისხლე მტრის წინააღმდეგ დაწყებული საყოველთაო-სახალხო ომის ეს ხანძარი. შურისძიება ფაშისტებისადმი, მათი შეუბრალებლად მოსპობა ყველგან და ყოველთვის — ეს ხდება ლოზუნგი, რომელიც მილიონობით ადამიანთა გულს აღაგზნებს მთელს მსოფლიოში. ფაშიზმი განწირულია, ფაშიზმი მოსპობილ იქნება, რა სისაძაგლეს, სიზიზღრობას, სიბილწესა და დანაშაულსაც არ უნდა მიმართოს მან კიდევ.

სახელოვანო პარტიზანებო, გააძლიერეთ იერიში მტერზე ყველგან და ყოველთვის, მოსპეთ იგი ფრონტზე და ზურგში! განდევნეთ ჰიტლერელები მათ მიერ დაკავებული ყველა ადგილიდან!

„პრავდის“ მოწინავე, 5/VIII

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

პოლკოვნიკ ა. ი. ლიზიუკოვისათვის საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების მინიჭების შესახებ

გერმანიის ფაშიზმთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან სიმამაცისა და გმირობის გამოჩენისათვის მიენიჭოს **საბჭოთა კავშირის გმირის** სახელწოდება და გადაეცეს **ლენინის ორდენი** და **„ოქროს ვარსკვლავის“** მედალი პოლკოვნიკ ალექსანდრე ილიას-ძე **ლიზიუკოვს**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1941 წლის 5 აგვისტო.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

პოლკის კომისარ თ. თ. ტულიკოვის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

გერმანიის ფაშიზმთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან ვაჟკაცობისა და სიმამაცის გამოჩენისათვის დაჯილდოებულ იქნას **წითელი დროშის ორდენით** პოლკის კომისარი თევდორე თევდორეს-ძე ტულიკოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1941 წლის 5 აგვისტო.

6 აგვისტოს ღამით მოსკოვზე გერმანიის თვითმფრინავების თავდასხმის ცდა

6 აგვისტოს, ღამით გერმანიის თვითმფრინავებმა სცადეს მოსკოვზე თავდასხმა. მოწინააღმდეგის თვითმფრინავთა რამდენიმე ეშელონი გაფანტულ იქნა შორს მოსკოვიდან ღამის ავიაგამანადგურებლების მიერ და საზენიტო ბატარეების ცეცხლით. მოწინააღმდეგის იმ ერთეულმა თვითმფრინავებმა, რომლებიც ქალაქისაკენ გამოიჭრნენ, ცეცხლწამკიდი და ფუგასური ყუმბარები ჩამოჰყარეს. საცხოვრებელ შენობებში გაჩენილი ხანძრები სწრაფად ლიკვიდირებულ იქნა. არიან მოკლულნი და დაჭრილნი. სამხედრო ობიექტები არ დაზიანებულა.

არასრული ცნობებით, ჩამოგდებულია გერმანიის 6 თვითმფრინავი. ჩვენ ერთი თვითმფრინავი დავკარგეთ. მფრინავი, რომელმაც ამ თვითმფრინავის პირდაპირი დაჯახებით მტრის ყუმბარმშენი მოსპო, პარაშუტის საშუალებით გადარჩა.

(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო შეთანხმების განგრძობის შესახებ

1941 წლის 2 აგვისტოს ვაშინგტონში სსრ კავშირის ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ამხ. კ. ა. უმანსკიმ და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოვალეობის აღმსრულებელმა ბ-ნმა სომნერ უელესმა გასცვალეს ნოტები, რომელთა თანახმად სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მომქმედ სავაჭრო შეთანხმებას ვადა გაუგრძელდა ერთი წლით, 1942 წლის 6 აგვისტომდე.

ამავე დროს ბ-ნმა უელესმა ამხ. უმანსკის გადასცა ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ სსრ კავშირისათვის ეკონომიური დახმარების გაწევის შესახებ.

ქვემოთ მოგვყავს ნოტები სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო შეთანხმების განგრძობაზე, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ნოტა სსრ კავშირისათვის ეკონომიური დახმარების გაწევის შესახებ და საბჭოთა მთავრობის საპასუხო ნოტა.

* * *

ვაშინგტონი, 1941 წლის 2 აგვისტო.

თქვენო აღმატებულებავ,

წარმოებული მოლაპარაკების შესაბამისად, პატივი მაქვს ჩემი მთავრობის სახელით დავადასტურო შეთანხმება, რომელიც ჩვენი შესაბამისი ქვეყნების მთავრობებს შორის მიღწეულ იქნა იმაზე, რომ ძალაში დარჩება 1942 წლის 6 აგვისტომდე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო ურთიერთობის შესახები შეთანხმება, რომელიც ფიქსირებული იყო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარსა და ამერიკის შეერთებული შტატების მოსკოველ ელჩს შორის ნოტების გაცვლით 1937 წლის 4 აგვისტოს, რომელიც ძალაში შევიდა 1937 წლის 6 აგვისტოს— სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მისი დამტკიცებისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მიერ მისი პროკლამაციის დღეს და რომელიც განახლებულ იქნა 1938 წლის 5 აგვისტოს, 1939 წლის 2 აგვისტოსა და 1940 წლის 6 აგვისტოს.

ეს შეთანხმება დამტკიცებულ იქნება სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ და პროკლამირებულ იქნება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მიერ.

კვლავაც დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, თქვენო აღმატებულებავ, ჩემს ულრმეს პატივისცემაში თქვენდამი

კონსტანტინე უმანსკი,

სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მის აღმატებულებას სომნერ უელესს, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოვალეობის აღმსრულებელს.

ვაშინგტონი.

* *

ვაშინგტონი, 1941 წლის 2 აგვისტო.

თქვენო აღმატებულებავ,

წარმოებული მოლაპარაკების შესაბამისად პატივი მაქვს ჩემი მთავრობის სახელით დავადასტურო შეთანხმება, რომელიც ჩვენი შესაბამისი ქვეყნების მთავრობებს შორის მიღწეულ იქნა იმაზე, რომ ძალაში დარჩება 1942 წლის 6 აგვისტომდე ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სავაჭრო ურთიერთობის შესახები შეთანხმება, რომელიც ფიქსირებული იყო ამერიკის შეერთებული შტატების მოსკოველ ელჩსა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს შორის ნოტების გაცვლით 1937 წლის 4 აგვისტოს, რომელიც ძალაში შევიდა 1937 წლის 6 აგვისტოს — ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მიერ მისი პროკლამაციისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მისი დამტკიცების დღეს და რომელიც განახლებულ იქნა 1938 წლის 5 აგვისტოს, 1939 წლის 2 აგვისტოსა და 1940 წლის 6 აგვისტოს.

ეს შეთანხმება პროკლამირებული იქნება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მიერ და დამტკიცებული იქნება სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ.

კვლავაც დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, თქვენო აღმატებულებავ, ჩემს ულრმეს პატივისცემაში თქვენდამი—

სომნერ უელესი,

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოვალეობის აღმსრულებელი.

მის აღმატებულებას კ. ა. უმანსკის, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ვაშინგტონი.

* *

ვაშინგტონი, 1941 წლის 2 აგვისტო.

ჩემო ძვირფასო ბატონო ელჩო,

კმაყოფილებით გაცნობებთ, რომ შეერთებული შტატების მთავრობამ გადასწყვიტა გაგიწიოთ ყოველგვარი ეკონომიური დახმარება, რის განხორციელებაც კი შეიძლება, საბჭოთა კავშირის განმტკიცების მიზნით მის ბრძოლაში შეიარაღებული აგრესიის წინააღმდეგ. ეს გადაწყვეტილება ნაკარნახევია შეერთებული შტატების მთავრობის რწმენით, რომ განმტკიცება საბჭოთა კავშირის შეიარაღებული წინააღმდეგობისა იმ აგრესორის მძარცველური თავდასხმისადმი, რომელიც არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ ყველა სხვა ხალხის უშიშროებასა და დამოუკიდებლობას ემუქრება, შეერთებული შტატების სახელმწიფო თავდაცვის ინტერესებს შეესაბამება.

შეერთებული შტატების მთავრობის ამ გადაწყვეტილების შესაბამისად და ზემოთგამოცხადებული პოლიტიკის ნამდვილად განხორციელების მიზნით, შეერთებული შტატების მთავრობა უაღრესად მეგობრულად იხილავს საბჭოთა კავშირის მთავრობის, დაწესებულებათა და სააგენტოების წინადადებებს შეერთებულ შტატებში იმ საქონელსა და მასალაზე შეკვეთების გადაცემის შესახებ, რომლებიც სასწრაფო საჭიროებას წარმოადგენენ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო თავდაცვისათვის, აგრეთვე იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყოს ამ საქონლისა და მასალის სწრაფად დამზადებასა და გადაგზავნას, ამ შეკვეთებს ანიჭებს პრიორიტეტს იმ პრინციპების საფუძველზე, რომლებსაც იყენებს აგრესიის წინააღმდეგ მებრძოლი ქვეყნების შეკვეთებისადმი.

რათა გააადვილოს საბჭოთა კავშირისადმი ეკონომიური დახმარების გაწევა, სახელმწიფო დეპარტამენტი გასცემს აგრეთვე შეუზღუდველ ლიცენზიებს, რომლებიც საშუალებას იძლევიან ექსპორტირებულ იქნას საბჭოთა კავშირში ფართო ნომენკლატურის საქონელი და მასალა, რომლებიც საჭიროა საბჭოთა კავშირის თავდაცვის განმტკიცებისათვის, იმ პრინციპების შესაბამისად, რომლებიც გამოიყენება ხოლმე ამავე მიზნებისათვის საჭირო მსგავსი საქონლისა და მასალის მიწოდებისას სხვა ქვეყნებისადმი, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ აგრესიას.

შეერთებული შტატების მთავრობის შესაბამისი ხელისუფალნი, ჩემ მიერ ზემოთმოყვანილი გადაწყვეტილების განხორციელებისას, ასევე კეთილსასურველად იხილავენ წინადადებებს იმის შესახებ, რომ ამერიკის საზღვაო ტრანსპორტის არსებული შესაძლებლობანი გამოყენებულ იქნან საბჭოთა კავშირში იმ საქონლისა და მასალის შეტანის დაჩქარების მიზნებისათვის, რომლებიც საჭიროა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო თავდაცვისათვის.

დავშთები, ჩემო ძვირფასო ბატონო უმანსკი, ფრიად გულწრფელი თქვენდამი—

სომნერ უელესი,

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოვალეობის აღმსრულებელი.

სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ამერიკის შეერთებულ შტატებში კ. ა. უმანსკის.

ვაშინგტონი.

* *

ვაშინგტონი, 1941 წლის 2 აგვისტო.

ჩემო ძვირფასო ბატონო სახელმწიფო მდივანო,

მე კმაყოფილებით მივიღე ცნობად შინაარსი დღეს ჩემ მიერ თქვენგან მიღებული ნოტისა, რომლითაც მაუწყებთ, რომ შეერთებული შტატების მთავრობას გადაუწყვეტია გაგვიწიოს ყოველგვარი ეკონომიური დახმარება, რის განხორციელებაც კი შეიძლება, საბჭოთა კავშირის განმტკიცების მიზნით მის ბრძოლაში შეიარაღებული აგრესიის წინააღმდეგ. თქვენ დასძენთ: ეს გადაწყვეტილება ნაკარნახევია შეერთებული შტატების მთავრობის რწმენით, რომ განმტკიცება საბჭოთა კავშირის შეიარაღებული წინააღმდეგობისა იმ აგრესორის მძარცველური თავდასხმისადმი, რომელიც არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ ყველა სხვა ხალხის უშიშროებასა და დამოუკიდებლობას ემუქრება, შეერთებული შტატების სახელმწიფო თავდაცვის ინტერესებს შეესაბამებაო.

ჩემი მთავრობის სახელით მე მსურს ხაზგასმით აღვნიშნო იმ თვალსაზრისის სიმართლე, რომ აგრესორი, რომელიც მუხანათურად დაესხა თავს ჩემს ქვეყანას, ემუქრება ყველა თავისუფლებისმოყვარული ხალხის უშიშროებასა და დამოუკიდებლობას და რომ ეს საფრთხე, ბუნებრივია, ამ ხალხების სახელმწიფო თავდაცვის ინტერესთა ერთობას ჰქმნის.

ჩემმა მთავრობამ დამავალა, მადლობა გამოვუცხადო შეერთებული შტატების მთავრობას შეერთებული შტატების მთავრობის მეგობრული გადაწყვეტილებისათვის და იმ რწმენისათვის, რომ ეკონომიური დახმარება, რომელზედაც თქვენს ნოტაში იუწყებით, ისეთი მოცულობის დახმარება იქნება და ისეთი სისწრაფით განხორციელდება, რომ იგი შეესაბამება გაჭანებას საომარი მოქმედებისას, რომელსაც საბჭოთა კავშირი აწარმოებს აგრესორისადმი შეიარაღებული წინააღმდეგობის დროს, წინააღმდეგობისა, რომელიც, როგორც თქვენ ესოდენ სამართლიანად აღნიშნეთ, შეესაბამება აგრეთვე შეერთებული შტატების სახელმწიფო თავდაცვის ინტერესებს.

მე კმაყოფილებით ვიღებ ცნობად აგრეთვე თქვენს ნოტაში მოყვანილ განცხადებას იმის შესახებ, რომ, შეერთებული შტატების მთავრობის ამ გადაწყვეტილების შესაბამისად და ზემოთ გამოცხადებული პოლიტიკის ნამდვილად განხორციელების მიზნით შეერთებული შტატების მთავრობა უაღრესად მეგობრულად იხილავს საბჭოთა კავშირის მთავრობის, დაწესებულებათა და სააგენტოთა წინადადებებს შეერთებულ შტატებში იმ საქონელსა და მასალაზე შეკვეთების გადაცემის შესახებ, რომლებიც სასწრაფო საჭიროებას წარმოადგენენ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო თავდაცვისათვის, აგრეთვე იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყოს ამ საქონლისა და მასალის სწრაფად დამზადებასა და გადაგზავნას, ამ შეკვეთებს ანიჭებს პრიორიტეტს იმ პრინციპების საფუძველზე, რომლებსაც იყენებს აგრესიის წინააღმდეგ მებრძოლი ქვეყნების შეკვეთებისადმი.

მე კმაყოფილებით ვიღებ ცნობად აგრეთვე თქვენს ნოტაში მოყვანილ განცხადებას იმის შესახებ, რომ, საბჭოთა კავშირისათვის ეკონომიური დახმარების გაწევის გასაადვილებლად, სახელმწიფო დეპარტამენტი გასცემს ხოლმე აგრეთვე შეუზღუდველ ლიცენზიებს, რომლებიც საშუალებას იძლევიან ექსპორტირებულ იქნას საბჭოთა კავშირში ფართო ნომენკლატურის საქონელი და მასალა, რაც საჭიროა საბჭოთა კავშირის თავდაცვის განმტკიცებისათვის, იმ პრინციპების შესაბამისად, რომლებსაც იყენებენ ამავე მიზნებისათვის საჭირო მსგავსი საქონლისა და მასალის მიწოდებისას სხვა ქვეყნებისადმი, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ აგრესიას, აგრეთვე, რომ შეერთებული შტატების მთავრობის შესაბამისი ხელისუფალნი ჩემ მიერ ზემოთმოყვანილი გადაწყვეტილების განხორციელებისას ასევე კეთილსასურველად იხილავენ წინადადებებს იმის შესახებ, რომ ამერიკის საზღვაო ტრანსპორტის არსებული შესაძლებლობანი გამოყენებულ იქნან საბჭოთა კავშირში იმ საქონლისა და მასალის შეტანის დასაჩქარებლად, რაც საჭიროა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო თავდაცვისათვის.

დავშთები, ჩემო ძვირფასო ბატონო უელეს, ფრიად გულწრფელი თქვენდამი —

კ. უმანსკი,

სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ბატონ სომნერ უელესს, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოვალეობის აღმსრულებელს.

ვაშინგტონი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

(5 აგვისტოს საღამოს ცნობა)

5 აგვისტოს განმავლობაში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ მტერთან ბრძოლას **სმოლენსკის, კოროსტენის, ბელაია ცერკოვის** მიმართულებებით და ფრონტის **ესტონეთის** უბანზე.

ფრონტის დანარჩენ მიმართულებებსა და უბნებზე დიდი საომარი მოქმედება არა ყოფილა.

ჩვენს ავიაციას სახმელეთო ჯარებთან ერთად იერიშები მიჰქონდა მტრის მოტომექანიზებულ ნაწილებსა და ქვეითს ჯარზე, დიდ ზარალს აყენებდა მათ. საჰაერო ბრძოლებში და აეროდრომებზე 4 აგვისტოს განმავლობაში მოსპობილ იქნა გერმანიის 53 თვითმფრინავი. ჩვენმა ავიაციამ 21 თვითმფრინავი დაჰკარგა.

• • •

წითელი არმიის ნაწილებმა დიდი ზარალი მიაყენეს გერმანიის ქვეითს დივიზიას „სს“, რომელიც ჩრდილოეთ-დასავლეთის მიმართულებით მოქმედებს. ამ დივიზიამ რამდენჯერმე სცადა ჩვენს შენაერთებზე იერიშების მოტანა. ჩვენი ჯარი ფაშისტურ კოლონებს ყოველთვის უკუაქცევდა და დიდ ზარალს აყენებდა. ფრონტის ხაზის გარღვევის რამდენიმე ამაო ცდის შემდეგ „სს“ დივიზიამ ბრძოლის ველზე დასტოვა 1.500-მდე მოკლული და დაჭრილი გერმანელი ჯარისკაცი. არასრული ცნობებით, ფაშისტურმა დივიზიამ დაჰკარგა 60 დაზგისა და მსუბუქი ტყვიამფრქვევი, სხვადასხვა ყალიბის 12 ქვემეხი, 16 ნაღმტყორცნი და 9 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი. ჩვენმა ნაწილებმა ხელთ იგდეს მრავალი ტყვე.

• • •

კოროსტენის მიმართულებით საბჭოთა ჯარების ენერგიული კონტრიერიშით განადგურებულ იქნა გერმანიის ქვეითი პოლკი. მოკლული და დაჭრილია 300-ზე მეტი ფაშისტი ჯარისკაცი. ტყვედ ჩავიგდეთ მრავალი ჯარისკაცი და ოფიცერი, მათ შორის პოლკის მეთაური.

• • •

გერმანიის ფაშისტურ ჯარებს უდიდესი ზარალი მოსდით. გერმანიის არმიის სარდლობამ ფრონტის ბევრ უბანზე ამოსწურა რეგულარული ჯარების მთელი რეზერვი და ბრძოლაში გამოჰყავს ხანშიშესული რეზერვისტები და 16-17 წლის ახალგაზრდობა. დასავლეთის მიმართულების ფრონტის ერთერთ უბანზე ბრძოლაში მონაწილეობას იღებდნენ ბერლინის იუნკერთა სასწავლებლის უმცროს კლასთა იუნკრები. ბევრი იუნკერი ტყვედ დანებდა წითელი არმიის ნაწილებს.

• • •

ქ. აეროდრომზე თავდასხმის დროს ფაშისტთა 3 თვითმფრინავმა სცადა ლეიტენანტ ამხ. პრივალოვის საზენიტო ბატარიისათვის ყუმბარების დაშენა. თვითმფრინავებმა 6 ყუმბარა ესროლეს ბატარიას და ტყვიამფრქვევი დაუშინეს. ბატარიის მეომრებმა ბრწყინვალედ მოიგერიეს გერმანელთა თავდასხმა აეროდრომზე, ჩამოაგდეს ჰიტლერელთა ერთი ყუმბარმშენი, დანარჩენი თვითმფრინავები კი უკუაქციეს.

• • •

გამანადგურებელ ლახვარს სცემენ მტერს წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის **ნ** ავიაესკადრილიის მეზღვაური მფრინავები. მფრინავმა ტხაკუმაჩევმა საჰაერო ბრძოლაში მოსპო 3 თვითმფრინავი „ი-88“. ესკადრილიის სამხედრო კომისარმა სმირნოვმა ყუმბარები დააყარა ფაშისტთა საესკადრო ნაღმოსანს და ჩასძირა სატრანსპორტო გემი, რომელსაც სამხედრო ტვირთი მიჰქონდა. ავიაესკადრილიამ ერთ თვეზე ნაკლები დროის განმავლობაში მოსპო 11 „იუნკერსი-88“, 4 „მესერშმიდტი“, ჩასძირა მტრის რამდენიმე სატრანსპორტო გემი და სატორპედო კატარღა.

• • •

ნ პოლკის სარდლობამ უმცროს სერჟანტს, უფროს მზარეულ იკონიკოვსა და წითელარმიელ—მზარეულს ზინინს მადლობა გამოუცხადა ბრძოლის პირობებში მეომრების ცხელი საჭმლით კარგად უზრუნველყოფისა და პირადი გულადობისა და მამაცობისათვის. უმცროსმა სერჟანტმა ამხ. იკონიკოვმა ისე მოაწყო საველე სამზარეულოების მუშაობა, რომ მეომრებს მოწინავე პოზიციებზე მუდამ მისდით გემრიელი საჭმელი. 31 ივლისს ღამით სამზარეულოების მახლობლად მტერმა პარაშუტისტთა დესანტი გადმოსხა. მზარეულმა მეომრებმა ჩვენი ნაწილების მისვლამდე მოიგერიეს პარაშუტისტთა იერიში. ამხ. იკონიკოვმა და წითელარმიელმა—მზარეულმა ზინინმა ხელჩართულ ბრძოლაში ხიშტით მოჰკლეს 4 დივერსანტი.

• • •

ფაშისტთა მე-111 მოტორიზებული პოლკის განადგურებისას წამოყვანილ გერმანელ ტყვეებს აღმოაჩნდათ სამშობლოში გაუგზავნელი რამდენიმე წერილი. თითქმის ყველა წერილში ლაპარაკია დაღლილობაზე და არაჩვეულებრივ სიძნელეებზე, რასაც გერმანელი ჯარისკაცები აღმოსავლეთის ფრონტზე წააწყდნენ. ეფრეიტორი ფრიც შტაინე ცოლსა სწერს: „რუსებთან ბრძოლა ძნელია. წითელი არმია აღჭურვილია ისეთი ტექნიკით, რომელიც ჩვენსას არაფრით ჩამოუვარდება. საარტილერიო სროლა ხშირად ნაშუაღამევამდე გრძელდება. ჩვენი ასეული ორი-სამი დღელამის განმავლობაში უჭმელია და საომარი მასალა არ მოეპოვება“. ჯარისკაცი კილე ძმას აცნობებს: „დივიზიას დიდი ზარალი მოსდის. დღეს დაზვერვიდან არ დაბრუნებულა 45 ჯარისკაცი. გუშინ წითელ ყუმბარმშენთა ესკადრილია 12-ჯერ დაგვესხა თავს. თავიდან არ მშორდება ერთი ფიქრი—როდის გათავდება ყოველივე ეს“. ჯარისკაცი ჰენრიხ ბუხნერი სწერს: „დიდი განსაცდელი გვხვდა წილად. ჩვენი ასეულის ბევრი ჯარისკაცი პირველ ორ ბრძოლაში დაიღუპა“. ჯარისკაცი ჰანს ნოიმანი ცოლსატყობინებს: „ჰილდა, იმედი გვაქვს, რომ ჩვენს დივიზიას მალე შესცვლიან, რადგან არავის არ ძალუძს გაუძლოს ამ საშინელ ბრძოლას“. გერმანელი ჯარისკაცები და ოფიცრები წერილებს ურთავენ თავიანთ ანდერძს. ლეიტენანტი ოსვალდ ბელინგი ცოლს ამალის სწერს: „ისეთი წინაგრძნობა მაქვს, რომ ვერ დავბრუნდები და ვერასოდეს ველარ ენახავთ ერთმანეთს. თუ მომკლეს, შენ და კარლოსს პენსიას დაგინიშნავენ. პენსიის მესამედი ჩემს დას მარგარიტას გადაეცი“.

• • •

სოფელ ვ-ს მახლობლად ფრონტის ჩრდილოეთ - დასავლეთის მიმართულებით გერმანელებმა ტყვედ ჩაიგდეს ორი დაჭრილი წითელარმიელი. ერთი მათგანი ფაშისტებმა დახვრიტეს, ხოლო მეორე ცოცხლად დასწვეს კოცონზე. ჩრდილოეთის ფრონტზე თეთრფინელებმა ტყვედ ჩაიგდეს ორივე ფეხში დაჭრილი სამხედრო ტექნიკოსი ლადონინი. შუცკორელებმა მას სამართებლით დაუსერეს სახე, თვალები დასთხარეს და მრავალი ჭრილობა მიაყენეს დანით. ამხ. ლადონინის დასახიჩრებული გვამი წითელარმიელებმა იპოვნეს იმ სახლის საკუჭნაოში, სადაც მოთავსებული იყო თეთრფინელთა ბატალიონის კანცელარია.

• • •

ნორვეგიაში სულ უფროდაუფრო ფართოვდება პარტიზანული

(დასასრული იხ. მე-2 გვ.).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

(დასასრული)

ბრძოლა გერმანელთა წინააღმდეგ. პარტიზანები წარმატებით მოქმედებენ სიმაგრეების წინააღმდეგ, რომლებსაც გერმანელები სანაპიროზე აგებენ, რადგან ეშინიათ ინგლისის ავიაციის თავდასხმისა. ქალაქ ფიტიარსა, ასკვოლსა და გულენში პარტიზანებმა ააფეთქეს ახლახან აგებული სათვალთვალო საგუშაგოები და სამხარი მასალის საწყობები, მოსპეს საზენიტო ბატარია. გერმანიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა 10 ათასი კრონი ჯილდო აღუთქვეს იმას, ვინც მიუთითებს ქალაქ ფიტიარსა, ასკვოლსა და გულენში მომხდარ აფეთქებათა დამნაშავეებს.

• • •

უშიშარი საბჭოთა პარტიზანები არც დღისით, არც ღამით არ აძლევენ მოსვენებას ფაშისტ ოკუპანტებს. პარტიზანული რაზმი „სიკვდილი ფაშიზმს“ ლ-ს რაიონში ღამით მოულოდნელად დაესხა თავს გერმანელ მესანგრეთა ასეულს, რომელიც მდინარე ს-ს დანგრეული ხიდის აღდგენაზე მუშაობდა. ასეული მოსპობილ იქნა. პარტიზანულმა რაზმმა, რომელსაც ამხ. ტ. მეთაურობს, ხელთ იგდო მედიკამენტებით დატვირთული მტრის ტრანსპორტი. რაზმში „სამშობლოსათვის“ შემავალმა კოლმეურნეებმა, რომელნიც ოკუპირებული ქალაქის პ-ს მახლობლად მოქმედებდნენ, 6 დღის განმავლობაში მოსპეს ფაშისტთა 2 სასურსათო აღალი, საწვავის 6 ცისტერნი და ტყვეობიდან გაათავისუფლეს 14 დაჭრილი წითელარმიელი.

სოფელ ზ-სთან პარტიზანთა ცხენოსანი რაზმი „ვოროშილოველი“ გაბედულად დაესხა თავს რუმინელთა ქვეითს ნაწილს. პარტიზანებმა ხელყუმბარები დაუშინეს რუმინელებს, აჰკუწეს 50 ჯარისკაცი და ხელთ იგდეს რუმინელთა ნაწილის დროშა.

პარტიზანთა რაზმმა, რომელსაც სოფლის კოოპერატივის თავმჯდომარე ამხ. გ. მეთაურობს, ტყეში აღმოაჩინა გერმანელთა საწვავის საწყობი. პარტიზანებმა საწყობის ადგილმდებარეობა აცნობეს 6 ავიანაწილის მეთაურს მაიორ ხლინოვს. იმავე დღეს საბჭოთა ყუმბარმშენმა ააფეთქა ფაშისტების ბენზინსაცავი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

(6 აგვისტოს დილის ცნობა)

5 აგვისტოს ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ მოწინააღმდეგესთან ბრძოლას **ხოლმის, სმოლენსკის, ბელაია ცერკოვის** მიმართულებებით და ფრონტის **ესტონეთის უბანზე**.

ფრონტის დანარჩენ მიმართულებებსა და უბნებზე დიდი საბრძოლო მოქმედება არა ყოფილა.

ბალტიის ზღვაში ჩვენმა წყალქვეშა ნავმა ჩასძირა მტრის ტრანსპორტი ჯარითა და საჭურველითურთ.

ჩვენი ავიაცია განაგრძობდა იერიშებს მტრის მოტომექანიზებული ნაწილების, ქვეითი ჯარისა და არტილერიის წინააღმდეგ, აგრეთვე ავიაციის წინააღმდეგ მტრის აეროდრომებზე.

• • •

კაპიტან გვოზდევის ბატალიონს პოზიციები ეკავა თავდაცვის წინა კიდეში, დაბა ვ-ის მახლობლად. მოხერხებულად შენიღბულმა ბატალიონის მებრძოლებმა ზურგში შემოუშვეს გერმანელთა დაზვერვა. როცა საბჭოთა ჯარი არ დაუხვდათ, მტრის მზვერავები უკან გაბრუნდნენ. მალე გამოჩნდა ფაშისტთა მთელი რაზმი. კაპიტან გვოზდევის ბატალიონმა, მეზობელი № მსროლელთა პოლკის ერთ ქვედანაყოფთან თანამოქმედებით, შეუმჩნევლად შემოუარა გერმანელებს და მოულოდნელად აუტეხა სროლა მტერს პირისპირ და ფლანგებზე. წითელარმიელთა მოულოდნელმა თავდასხმამ თავზარი დასცა ფაშისტებს. გერმანელებმა მოტოციკლები და იარაღი დაჰყარეს და გაიქცნენ. სწრაფმა ხიშტით იერიშმა ფაშისტთა რაზმის განადგურება დაასრულა. ამ ბრძოლაში გერმანელებმა დაჰკარგეს 300-მდე ჯარისკაცი — მოკლული და დაჭრილი. ტყვედ დაგვნებდა 150 ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ 30 ტანკეტი, 60 მოტოციკლი და დიდძალი იარაღი.

• • •

წითელარმიელმა არტილერისტმა ბეკენინმა ქვედანაყოფის მეთაურის დაღუპვის შემდეგ ქვედანაყოფის მეთაურობა იკისრა და ბრწყინვალედ ხელმძღვანელობდა ნაღმტყორცნის ცეცხლს. ნაღმტყორცნებით, ორი დაზგის ტყვიამფრქვევითა და ხელის ერთი ტყვიამფრქვევით შეიარაღებულმა 19-მა წითელარმიელმა ამხ. ბეკენინის მეთაურობით ჩვენი პოზიციებიდან გარეკა 150-ზე მეტი რუმინელი ჯარისკაცი. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის ათობით მოკლული და დაჭრილი ჯარისკაცი.

• • •

საბჭოთა 6 ავიამენაერთის საზღვაო მფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს თეთრფინელთა ნავსადგურ ნ-ს. ყუმბარების აფეთქებამ ტრანსპორტებსა და სანავსადგურო ნაგებობებში გამოიწვია დიდი ხანძარი. პირდაპირი მოხვედრებით ჩაძირულია თეთრფინელთა ერთი ტრანსპორტი.

• • •

საბჭოთა ავიაგამანადგურებლების რგოლმა, რომელსაც ამხ. დენისოვი მეთაურობს, ქალაქ ო-ს რაიონში აღმოაჩინა ფაშისტთა თვითმფრინავი, რომელიც საარტილერიო ცეცხლს აწესრიგებდა. საბჭოთა მფრინავებმა იერიში მიიტანეს და დასწვეს მტრის თვითმფრინავი. ჩამოგდებული თვითმფრინავის ეკიპაჟი შეეცადა პარაშუტებით დაშვებულიყო, მაგრამ მათი ცდა მარცხით დამთავრდა: მფრინავი და მსროლელი პარაშუტით წამოედვნენ ცეცხლმოდებულ მანქანას და თვითმფრინავთან ერთად დაენარცხნენ მიწაზე.

• • •

ოკუპირებული პოლონეთის ქალაქებში გახშირდა ფაშისტ მოიერიშეთა და გერმანელ მოხელეთა მკვლელობის შემთხვევები. ამ დღეებში ლოძში იპოვნეს გვამი მოიერიშეთა რაზმის მეთაურისა, რომელსაც მკერდზე მიბნეული ჰქონდა წარწერი: „საბჭოთა კავშირ-პოლონეთის შეთანხმება ძალაში შევიდა“. გდინიაში 5 დღის განმავლობაში უცნაურად გაჰქრა 8 მოიერიშე. მათი გვამები გზისპირა თხრილში იპოვნეს, ქალაქგარეთ. პოლონეთის ქალაქების გნეზნოსა და ვეესნიას შუა ადგილობრივმა გლეხებმა გზაზე გააჩერეს ავტომანქანა, რომელშიც მოსახლეობისაგან გადასახადების ამკრეფი აგენტები ისხდნენ, და ყველა აგენტი დახოცეს. განადგურებული ავტომანქანის ძარაზე პოლონელმა პატრიოტებმა ცარცით წააწერეს: „სიკვდილი პოლონელი ხალხის მძარცველებს“.

• • •

საბჭოთა ბელორუსიის იმ რაიონებში, რომლებიც ხელში ჩაიგდეს გერმანელ ფაშისტთა ჯარებმა, ასობით პარტიზანული რაზმები მოქმედებენ. პარტიზანები მტერს საგრძნობ ზარალს აყენებენ. სოფელ კ-ის რაიონში პარტიზანთა რაზმი ამხ. ბ-ის მეთაურობით თავს დაესხა გერმანელთა დივიზიის შტაბს და ხელთ იგდო ოპერატიული დოკუმენტები. შტაბში მყოფი ფაშისტი გენერალი და სხვა ოფიცრები დახოცეს. ერთმა რაზმმა ამხ. კ-ის მეთაურობით ღამით ბრძოლის დროს გასწყვიტა 150 გერმანელი ჯარისკაცი. რაზმმა ამხ. ჩ-ის მეთაურობით მდინარე პ-ის ხიდი ააფეთქა და ტყვიამფრქვევი დაუშინა გერმანელთა კოლონას. მტერს დიდი ზარალი მოუვიდა. პინსკელ პარტიზანთა რაზმმა ტყეში მოსპო ფაშისტთა ქვედანაყოფი.

• • •

კვების მრეწველობის მუშაკთა მრავალათასიანი რაზმი ამჟამად გაორკეცებული და გასამკეცებული ენერგიით შრომობს, ცდილობს წითელ არმიასა და ჩვენს ქვეყანას მისცეს მეტი პროდუქცია. სტალინგრადის საკონსერვო ქარხნის კოლექტივმა ბევრად გაადიდა შრომის ნაყოფიერება. ქარხნის მუშა ამხ. დუბინინა ნორმას 280 პროცენტით ასრულებს, ამხ. ზიუზიკოვი და დიაკოვი ცვლის დავალებას 300 პროცენტით ასრულებენ. პოპოვის კუნძულის თევზკომბინატის მუშაკები ამხ. პრონინა, რედინა, ნოსოვა, ვიაზოვა, აკიმენკო და სხვები ცვლის დავალებას 220-270 პროცენტით ასრულებენ. უსტ-ბარგუზინის საკონსერვო ქარხნის კოლექტივმა ივლისში ერთისამად მეტი პროდუქცია მოგვცა, ვიდრე ყოველ წინა თვეს. ამ კოლექტივმა უკვე შეასრულა წლიური პროგრამა და ვალდებულება იკისრა წლის დამლევამდე შეასრულოს კიდევ ერთნახევარი წლის პროგრამა. ყაზანის საგოს ქარხნის კოლექტივმა ომის განმავლობაში ერთიორად გაადიდა საშუალო დღიური გამომუშავება ერთი მუშისა, ვოლგისპირა გერმანელთა რესპუბლიკის ენგელსის ხორცკომბინატი საწარმოო გეგმას ყოველდღიურად საშუალოდ 217 პროცენტით ასრულებს. ბალცერის კანტონის ზეთსახდელი ქარხანა „სპარტაკი“ რემონტისათვის გააჩერეს. გეგმით რემონტი 30 დღეში უნდა დაემთავრებინათ; კოლექტივმა კი სტახანოვური მუშაობის შედეგად რემონტი 12 დღეში შეასრულა.

საქდესი უარჰყოფს

უცხოეთის ზოგიერთ გაზეთში გამოქვეყნდა „ბრიტიშ იუნაიტედ პრესის“ სააგენტოს ცნობა იმ ხმების შესახებ, თითქოს ამურის ახლოს მოხდა საბჭოთა და იაპონიის ჯარების შეტაკებანი, რომლების დროსაც იაპონელთა დანაკლისმა 1.500 კაცს მიაღწია. საქდესს დავალებული აქვს უარჰყოს „ბრიტიშ იუნაიტედ პრესის“ ეს ცნობა, როგორც სინამდვილისადმი სრულიად შეუფერებელი, ვინაიდან არც ამურის ახლოს და არც სხვა ადგილას საბჭოთა და იაპონიის ჯარების არავითარი შეტაკება არ მომხდარა.

(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს 1941 წლის 6 აგვისტოს საღამოს ცნობიდან

6 აგვისტოს განმავლობაში ჩვენი ჯარები მედგარ ბრძოლებს აწარმოებდნენ მტერთან **კექსჰოლმის, სმოლენსკის, ბელაია ცერკოვის** მიმართულებებით და ფრონტის **ესტონეთის** უბანზე.

ფრონტის დანარჩენ მიმართულებებსა და უბნებზე დიდი საბრძოლო მოქმედება არ ყოფილა.

ჩვენს ავიაციას იერიშები მიჰქონდა მტრის მოტომექანიზებული ნაწილებისა და არტილერიის წინააღმდეგ ფრონტის სხვადასხვა უბნებზე. 5 აგვისტოს მოსპობილია გერმანიის 14 თვითმფრინავი. ჩვენ 7 თვითმფრინავი დავკარგეთ.

• • •

პოლკოვნიკ პეშინსკის შენაერთის მებრძოლებმა და მეთაურებმა გაანადგურეს გერმანიის ერთ-ერთი „სს“ დივიზია, რომელიც „მკვდარი თავის“ სახელწოდებას ატარებდა. გადმოგცემთ ჰიტლერელთა ამ დივიზიის განადგურების ზოგიერთ დაწვრილებითს ცნობებს.

აღმოსავლეთის ფრონტზე გერმანიის ახალი დივიზიის მოსვლა საბჭოთა ნაწილის სარდლობამ იმავე დღეს შეიტყო.

დილით ადრე ლეიტენანტმა საველიევმა, რომელიც წითელარმიელ მზვერავთა ჯგუფს მეთაურობდა, ტყვედ ჩაიგდო გერმანელი ეფრეიტორი ლუდვიგ შტიმელი, რომელსაც საყელოზე გამოხატული ჰქონდა თავის ქალა გადაჯვარედინებული ძვლებით. დაკითხვისას ტყვემ განაცხადა, რომ მათი დივიზია შედგენილია ნაცისტური პარტიის „სს“ დამცველი რაზმებისაგან. დივიზია მონაწილეობდა ბრძოლებში საფრანგეთსა და საბერძნეთში. გათვალისწინებული იყო მისი გამოყენება გადამწყვეტი დარტყმისათვის აღმოსავლეთის ფრონტის ერთერთ მთავარ მიმართულებაზე.

შემდეგ ეფრეიტორმა განაცხადა, ჩვენი დივიზია უაღრესად განწყობილია საბრძოლველად, იგი ორი ქვეითი და ერთი საარტილერიო პოლკისაგან შესდგება და შეტევისათვის ემზადებაო. მართლაც, ფაშისტური დივიზია მალე იერიშზე გადმოვიდა.

პოლკოვნიკმა პეშინსკიმ ბრძანება გასცა არტილერიის ცეცხლით შეხვედროდნენ შეტევაზე გადმოსულ გერმანელთა კოლონებს. ყუმბარები ზუსტად ხვდებოდა მიზანს. ყუმბარების აფეთქება მაღლა ჰაერში სტყორცნიდა დამსხვრეულ ტანკებს, მოტოციკლებს, ტყვიამფრქვევებს, ნაღმტყორცნებს, ფაშისტ ჯარისკაცთა დაფლეთილ სხეულებს. მაგრამ ავტომატებით შეიარაღებული ფაშისტები, რომლებიც, როგორც შემდეგ გამოირკვა, უკლებლივ ყველანი მთვრალები იყვნენ. და რომლებსაც ტანკები ეხმარებოდნენ, კვლავ ხშირ წყებებად დაიძრნენ ჩვენი სიმაგრის წინააღმდეგ.

ჩვენმა მებრძოლებმა გულდინჯად მოუშვეს ფაშისტები ახლოს და შამხანების, ტყვიამფრქვევების, ყუმბარმტყორცნებისა და ქვემეხების გრიგალისებური სროლა აუტეხეს. როდესაც იერიში გაჩაღებული იყო, გამოჩნდნენ საბჭოთა ჩქარი ყუმბარმშენები, რომლებმაც მტრის წყებებს ყუმბარები დააყარეს. როდესაც მკვდართავოსნები შედრკნენ, წითელარმიელები ხიშტით კონტრიერიშზე გადავიდნენ და ფაშისტური დივიზიის განადგურება დაამთავრეს. გერმანიის სარდლობამ სცადა ავტომანქანებით ზურგში გადაეყვანა ყოვლიჩინა მკვდართავოსანთა უბადრუკი ნაშთები, მაგრამ ამხ. პეშინსკის საარტილერიო ნაწილებმა სწრაფად მიაგნეს გაქცეულ კოლონას და ფაშისტი ჯარისკაცებითა და ოფიცრებით გაჭედილი ბევრი მანქანა მოსპეს.

ასე სამარცხვინოდ დამთავრდა რჩეული ფაშისტური დივიზიის ფსიქიური იერიში.

დაზუსტებული ცნობებით, „მკვდარი თავის“ დივიზიამ დაჰკარგა 2.500-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი — მოკლულთა და დაჭრილთა სახით. ჩვენი არტილერიისა და ყუმბარმტყორცნების ცეცხლით მოსპობილია გერმანიის 30 მსუბუქი ტანკი და ჯავშნიანი მანქანა, 80 მოტოციკლი, 500-მდე ავტომატი, 90 მსუბუქი და მძიმე ტყვიამფრქვევი და 45 ყუმბარმტყორცნი.

(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

უცხოელ კორესპონდენტთა მორიგ პრეს-კონფერენციაზე

უცხოელ კორესპონდენტთა მორიგ პრეს-კონფერენციაზე, რომელიც 5 აგვისტოს შესდგა, საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს უფროსის მოადგილე ამხ. ს. ა. ლოზოვსკი შეჩერდა ჰიტლერის არმიის მორალური მდგომარეობის საკითხზე.

ომის პირველი წელი და 8 თვე, როცა ჭარბი ტექნიკური საშუალებებისა და ადამიანთა ძალების იერიშების შედეგად ზედიზედ დამარცხებულ იქნა პოლონეთი, საფრანგეთი, დაპყრობილ იქნა ნორვეგია, ჰოლანდია, ბელგია, დამარცხებულ იქნა იუგოსლავია და საბერძნეთი,—როგორც გერმანელ ჯარისკაცს იმ აზრს განუმტკიცებდა, რომ გერმანიის არმია უძლეველია.

არმიის უძლეველობის ქადაგებასთან ერთად, ნაციონალ-სოციალიზმი ყოველ გერმანელ ჯარისკაცს იმ აზრს უნერგავდა, რომ მისთვის, როგორც „უმაღლესი არსებისათვის“, ყველაფერი ნებადართულია. მას, გამარჯვებულს, ნება დართული აქვს ძარცვოს მოსახლეობა, მოკლას უმწეონი, ძალა იხმაროს ქალებსა და მცირეწლოვან ბავშვებზე „უმაღლესი კულტურის“ გულისათვის.

განუსჯელობის, მხეცური ეგოიზმის ქადაგებამ, ცინიკური გარყვნილების, მსუნაგობის, ლოთობისა და ძარცვის წაქეზებამ გერმანიის არმიაში შექმნა განწყობილება, რომელიც შეიძლება გამოვხატოთ ცნობილი ფრაზით — „ჩემს შემდეგ წარღვნაც მოსულაო“. მთავარია, რაც შეიძლება მეტი დავიტაცო, მარაგად გავგზავნო სამშობლოში ფული, ოქრო, ოქროს და ვერცხლის ნივთები, დავტკბე ცხოვრებით, შემდეგ კი თუნდაც ქვა ქვაზე ნუ დარჩენილაო.

ცემა-ტყეპის დისციპლინამ, უძლეველობის თავბრუმ, მტკიცე ორგანიზაციამ — ყოველივე ამან გერმანიის სარდლობასა და გერმანიის მთავრობას შესაძლებლობა მისცა მილიონობით გერმანელი ჯარისკაცი გამოეყვანათ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

თუმცა გერმანიის არმიაში სსრ კავშირზე თავდასხმის მომენტისათვის ბლომად მოიპოვებოდნენ ისეთი ჯარისკაცები, რომლებიც საბჭოთა კავშირთან ომის წინააღმდეგნი იყვნენ, მაგრამ ამ ადამიანებმა პირველი გამარჯვებებით მოწამლულ ატმოსფეროში ვერ შესძლეს ზეგავლენა მოეხდინათ თავიანთ ამხანაგებზე.

მაგრამ აი, გერმანიის „უძლეველი“ არმია, გამსჭვალული მისწრაფებით—რაც შეიძლება მალე დაემთავრებინა ელვისებური ომი, დაეტაცნა სიმდიდრე და შინ დაბრუნებულიყო, წააწყდა საბჭოთა ჯარების მედგარ, სისტემატურ წინააღმდეგობასა და კონტრიერიშებს. თოლ გამარჯვებათა პერიოდი დამთავრდა. დაიწყო მძიმე და სისხლიანი დანაკლისის პერიოდი.

რაც უფრო თავხედურად ეჭირათ თავი ჰიტლერელ არამზადებს საცოდავი ოკუპირებული ქვეყნების მოსახლეობის მიმართ, რაც უფრო ულმობელად ეპყრობოდნენ ისინი დაპყრობილი საბჭოთა რაიონების მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებს, მით უფრო ლაჩარნი ხდებოდნენ ეს არამზადები წითელ არმიასთან შეტაკებებში, იმ არმიასთან შეტაკებებში, რომელიც გამსჭვალულია ყოვლის შთამნთქმელი სიძულვილით მოძალადეებისადმი და თავდადებული სიყვარულით თავისი ქვეყნისა და თავისი ხალხისადმი.

განუსჯელ ჰიტლერელთა თავშიც კი იბადება ეჭვები.

გერმანიის არმიის მორალური გახრწნა ახლა სამი მიმართულებით მიმდინარეობს:

1) ყველა ის ჯარისკაცნი, რომელნიც თანაუგრძნობენ სსრ კავშირს და რომლებსაც სძულთ ჰიტლერის რეჟიმი (ასეთები ცოტანი როდი არიან), მარჯვე შემთხვევას უცდიან, რომ სსრ კავშირის მხარეზე გადმოვიდნენ.

2) კადრების მორალურად დაბალ დონეს, უდიდეს დაღლილობასთან, უმაგალითო დაძაბულობასთან დაკავშირებით, შედეგად მოსდევს თავაშვებული ლოთობა, მსუნაგობა, გარყვნილება, და ამ ნიადაგზე იზრდება სიძულვილი, ერთი მხრივ, რიგითს ჯარისკაცებსა და, მეორე მხრივ, მცველ რაზმებსა და ოფიცერთა კორპუსს შორის.

3) არმიის შიგნით აქტიურდება ყველა ის, ვინც სხვადასხვა მიზეზით საბჭოთა კავშირთან ომის წინააღმდეგი იყო. ასეთი ადამიანები ცოტანი როდი არიან არა მარტო ჯარისკაცებს შორის, არამედ ოფიცრებს შორისაც. დამარცხებისა და განადგურების პერსპექტივასთან დაკავშირებით გერმანიის არმიის ზედა და ქვედა ფენებში იზრდება სიძულვილი ჰიტლერისადმი და მთელი მისი ხროვისადმი.

ამხ. ლოზოვსკის მოჰყავს მრავალი ფაქტი, სამხედრო ტყვეთა ჩვენების ამონაწერები, რომლებიც მოწმობენ, რომ გერმანიის არმიაში გახრწნის პროცესი დაიწყო.

ისტორიული მაგალითები მოწმობენ, რომ თავდადებით და მამაცურად მხოლოდ ის არმიები იბრძვიან, რომლებიც დიადი იდეალებით არიან აღფრთოვანებულნი. წითელი არმიის ყოველმა ჯარისკაცმა, დიდი ბრიტანეთის ყოველმა ჯარისკაცმა და მეზღვაურმა იცის, რომ იგი იბრძვის თავისი ქვეყნების დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის. ხოლო რისთვის იბრძვის გერმანელი ჯარისკაცი, რომელმაც სისხლითა და ცრემლით მორწყო მთელი ევროპა? ევროპასა და მთელს მსოფლიოში ბატონობისათვის, ყველა ხალხის დამორჩილებისათვის, „დაბალი რასის“ ათეულ მილიონობით ადამიანთა ძვლებზე „დიდი“ გერმანიის შექმნისათვის, ყოველი ჯარისკაცის პირადი გამდიდრებისათვის? ყოველივე ეს მდარე ხარისხის დუღაბია იმისათვის, რომ ჰიტლერის არმია გაუმაგრდეს და გაუძლოს პირველ სერიოზულ მარცხებს.

გერმანიაში მოიპოვებიან მილიონობით ადამიანები, რომლებსაც სძულთ ჰიტლერიზმი და მის მიერ შექმნილი სისხლისმღვრელი ძალადობის რეჟიმი. ეს ადამიანები არიან არმიაშიც. მათ იციან, რომ სსრ კავშირი თავს არ დასხმია გერმანიას. მათ საერთოდ არა სურთ ომი. ამ ადამიანებმა იციან, რომ მათი ოჯახები შიმშილობენ, რომ გესტაპო მძვინვარებს მთელს გერმანიაში. ისინი დაიღალნენ, მათ შინ დაბრუნება სწადიათ. განა დიდხანს იქნებიან ეს ადამიანები უტყვი იარაღი ფაშისტ ნაცისტი ბანდიტების ხელში?

ტექნიკა დიდი საქმეა, მაგრამ საშუალო გერმანელი, რიგითი ადამიანი, რომელიც ამ ტექნიკას ამოძრავებს, უკვე ტყდება. გერმანულ ტექნიკას უხეირო ჰიტლერულმა პოლიტიკამ უმტყუნა. გერმანელი ჯარისკაცი ჰკარგავს თავისი თავის რწმენას და ჰკარგავს ჰიტლერისადმი რწმენას.

მანქანა არ ფიქრობს, მაგრამ მრავალრიცხოვანი მანქანების წამყვანმა უკვე დაიწყო ფიქრი, და რაც უფრო მეტად დასცხებენ წითელი არმია, დიდი ბრიტანეთის არმია და ფლოტი გერმანიის „უძლეველ“ ჯარებს, მით უფრო სწრაფად გაიხრწნება გერმანიის არმია.

• • •

„ინტერკონტინენტ ნიუსის“ კორესპონდენტის კითხვაზე, მართალია თუ არა ზოგიერთი იაპონური გაზეთის („ასახი“, „ტაირიკუ-სიმპო“ და სხვ.) ცნობები, რომ ჩიტაში შესდგა ან განზრახულია შესდგეს ჩინეთის და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლების სამხედრო კონფერენცია და რომ სსრ კავშირსა და ჩინეთს შორის სამხედრო შეთანხმება დაიდოო,— ამხ. ლოზოვსკიმ უპასუხა: „რაც შეეხება ცნობას, ვითომ ჩიტაში შესდგა ან განზრახულია შესდგეს მომავალში სსრ კავშირ-ჩინეთის რაღაც სამხედრო კონფერენცია და ვითომ სსრ კავშირსა და ჩინეთს შორის დადებულია სამხედრო შეთანხმება, ეს ცნობა, ისე როგორც მთელი რიგი სხვა ამგვარი ცნობები, რომლებიც უცხოეთის პრესაში ამ უკანასკნელ დროს გამოქვეყნდა, წარმოადგენს სენსაციურ საგაზეთო ფანტაზიას, რომელსაც შორეული დამოკიდებულებაც კი არა აქვს სინამდვილესთან“.

ფაშისტი ოკუპანტები მხეცურად უსწორდებიან ელზას-ლორენის ფრანგ მოსახლეობას

„ნიუ-იორკ ტაიმსი“ დაწვრილებით აღწერს, თუ როგორ სძარცვავდნენ გერმანელი ოკუპანტები ელზას-ლორენს და ერეკებოდნენ იქიდან ფრანგებს, რათა ამ მხარეში გერმანელები დაესახლებინათ. პირველი დღიდანვე გერმანელმა ოკუპანტებმა ხელში ჩაიგდეს ყველა სამოქალაქო დაწესებულება და სამსახურიდან დაითხოვეს ფრანგ ადმინისტრატორთა უმრავლესობა. გადასახლების შესახებ გაცემულ ბრძანებებს, რომლებიც გერმანულ ენაზე იყო დაწერილი, ელზასში ოჯახის მეთაურს აბარებდნენ, რაც შესრულებული უნდა ყოფილიყო მაქსიმუმ ერთი საათის განმავლობაში, ხოლო ზოგიერთ პირს 15-დან 20 წუთამდე დრო ეძლეოდათ ნივთების შესაგროვებლად. გადასასახლებელ პირთ აკრძალული ჰქონდათ სახლიდან გამოსვლა ან რაიმე კავშირის დაჭერა ვისმესთან. მთელი ძვირფასი ნივთები, ფული საჩეკო წიგნაკები და ბანკის ანგარიშები ყოველგვარი ხელწერილის მიუცემლად ჩამოართვეს. გადასახლებულთა სახლებს, საწარმოებს ან მიწებს, დაუყოვნებლივ ისავებდნენ გერმანიის სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსული გერმანელები. ამ ძარცვის დროს ულრეს სისასტიკეს მიმართავდნენ. ყველაზე მეტად ებრაელები დაზარალდნენ. მათ ძარცვა, ცემა-ტყეპა და წამება განიცადეს.

ლორენიდან გადასახლება უფრო ნელა ხდებოდა, ვინაიდან აქ გლეხები ძლიერ წინააღმდეგობას უწევდნენ გერმანელებს. ასახლებდნენ მთელ სოფლებს, ამასთან გლეხები სწვავდნენ თავიანთ სახლებსა და სხვა ქონებას, რათა გერმანელებს არ ჩავარდნოდა ხელში. ამის გამო გერმანელებმა შეაჩერეს გლეხების გადასახლება მთელი სოფლობით და დაიწყეს მათი სათითაოდ გადასახლება. გადასახლების დროს გერმანელები ცდილობდნენ ერთმანეთისათვის დაეშორებინათ ოჯახის წევრები; ცალცალკე ასახლებდნენ ბავშვებს, მშობლებს, ცოლებს, ქმრებს. მეცის ეპისკოპოსს ნება არ მისცეს თან წაეყვანა 80 წლის მოხუცი დედა, რომელიც მძევლად დასტოვეს. მის 89 წლის მოხუც სიმამრსაც არ მისცეს ოჯახის თან წაყვანის ნება. ლორენში ერთ ქალს გერმანელებმა განუცხადეს, რომ სამშობლოში დარჩენის ნებას მისცემენ იმ შემთხვევაში, თუ იგი გაეყრება ქმარს, რომელიც გადასახლებულ უნდა იქნას. ასეთივე წინადადება მისცეს ცოლ-ქმარს, რომლებსაც შვილები ჰყავდათ. მას შემდეგ, რაც ამ ცოლ-ქმარმა გაყრაზე უარი განაცხადა, მთელი ოჯახი სხვადასხვა ადგილას გადაასახლეს. ერთ მამას შვილებთან გამომშვიდობების ნებაც კი არ მისცეს, ერთი ფრანგი ოფიცრის ცოლს ნება არ მისცეს თან წაეყვანა მომაკვდავი დედა. ბევრი საპატიმროებში ჩაჰყარეს, სადაც ისინი სისხლის სამართლის დამნაშავე ელემენტებთან ერთად იმყოფებოდნენ.

მრეწველებსა და ვაჭრებს გერმანელები სხვანაირად მოეპყრნენ; ისინი ერთად შეაგროვეს, წინადადება მისცეს გაერთიანებულიყვნენ ელზას-ლორენის მოსახლეობის მომმარაგებელ ორგანიზაციად, მაგრამ აუკრძალეს გარიგების დადება საფრანგეთის ოკუპირებული და არაოკუპირებული ზონების ფრანგ ვაჭრებთან. როდესაც ამ მრეწველებმა და ვაჭრებმა დავალება შეასრულეს, ისინი გაადევნეს, ხოლო რამდენიმე მილიონ ფრანკად ღირებულ საქონელსა და სურსათს კონფისკაცია უყვეს.

გერმანიის ხელისუფლებამ მოტყუებით მიაღწია იმას, რომ სამშობლოში დაბრუნდა ელზას-ლორენის მცხოვრებთა ნაწილი, რომლებიც ომის დაწყების პირველ დღეებში სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთში გაიხიზნენ. გერმანელებმა ამისათვის უაღრესად ცინიკურ მეთოდებს მიმართეს; ისინი წინადადებას აძლევდნენ ამ პირებს თან წამოეღოთ ყველაფერი, რაც კი რამ ებადათ, და შინ დაბრუნებულიყვნენ, ამასთან პირდებოდნენ კარგ მოპყრობას და მშვიდობიან ცხოვრებას. ზოგიერთმა ამ დაპირებას დაუჯერა და დაბრუნდა, მათ ისევე მოეპყრნენ, როგორც მათ მეზობლებს; ისინი სულერთიანად გაძარცვეს და მშობლიური ადგილებიდან გაადევნეს.

5 აგვისტო (საქდესი).

თავდაცვის ფონდი

შეტანილია 3.147.477 მანეთი

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის ცნობით, 7 აგვისტოსათვის საქართველოს სსრ მშრომელებმა თავდაცვის ფონდში შეიტანეს სულ 3.147.477 მანეთი.

აქედან თბილისში—1.864.207 მანეთი და რაიონებში—1.283.270 მანეთი.

თბილისში ნაღდ ფულად შეტანილი იყო 56.420 მანეთი, გადარიცხვით—301.877 მანეთი და 1.505.910 მანეთის ობლიგაციები.

ოცდარვა რაიონის მიხედვით—20.984 მანეთი ფულად, 273.584 მანეთი გადარიცხვით, 797.780 მანეთის ობლიგაციები და 3.465 მანეთის ძვირფასი ნივთეული.

დანარჩენ 19 რაიონში ნაღდ ფულად, გადარიცხვით და ობლიგაციების სახით შეტანილი იყო სულ 187.457 მანეთი.

ფულადი სახსრების გარდა 6 ივლისს თბილისში შეტანილი იყო 24,75 გრამი ოქრო და 4.601,2 გრამი ვერცხლი.

ამგვარად, თავდაცვის ფონდში 7 აგვისტოსათვის შეტანილი იყო 3,15 გრამი პლატინა, 76,55 გრამი ოქრო, 10.435,1 გრამი ვერცხლი და 5 ამერიკული დოლარი.

სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისათვის

სოხუმი („კომუნისტის“ კორ.). აფხაზეთის მშრომელები თავიანთი დანაზოგებით აძლიერებენ თავდაცვის სახალხო ფონდს. ტყვარჩელის მაღაროელებმა გადასწყვიტეს თავდაცვის ფონდში ყოველთვიურად შეიტანონ თითო დღის ხელფასი. რკინიგზის ოჩამჩირის კვანძის მუშა-მოსამსახურეებმა გადასწყვიტეს იმუშაონ გამოსასვლელ დღეებში და გამომუშავებული ხელფასი თავდაცვის ფონდში ჩარიცხონ.

არიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშებსა და მოსამსახურეებს 3 აგვისტოსათვის თავდაცვის ფონდში შეტანილი ჰქონდათ 30.000 მანეთი. გაგრის რაიონის სახანძრო დაცვის მუშაკებმა ყოველთვიურად თითო დღის ხელფასის გარდა შეიტანეს 8.385 მანეთის ობლიგაციები.

თავდაცვის ფონდის შექმნას ფართოდ გამოეხმაურნენ კოლმეურნეებიც. სოხუმის რაიონში, ესტონელთა კოლმეურნეობა—„უუს ილმის“ წევრებმა შეიტანეს სამ-სამი შრომადღის მთელი ღირებულება, ხოლო ახალსოფლის კოლმეურნეობის წევრებმა — ოთხ-ოთხი შრომადღისა.

აფხაზეთის მშრომელებმა თავდაცვის ფონდში შეაქვთ აგრეთვე ძვირფასი ნივთები.

გ. მერკვილაძე

• • •

ბათუმი („კომუნისტის“ კორ.). აჭარის მშრომელებს უდიდესი აღფრთოვანებით შეაქვთ თავიანთი წვლილი ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ფონდში. სახელმწიფო ბანკის აჭარის განყოფილების ცნობით 6 აგვისტოსათვის ბათუმის მშრომელებმა თავდაცვის ფონდში შეიტანეს 3.082 მანეთი ხელფასიდან, 16.365 მანეთი გადარიცხვით და 65.476 მანეთის ობლიგაციები. თავდაცვის ფონდში დანაზოგების შეტანა წარმატებით გრძელდება. ფულადი დანაზოგის გარდა მშრომელებს შეაქვთ ძვირფასი ნივთები.

სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ამხ. ს. იორდანიძემ თავდაცვის ფონდში შეიტანა ოქროს საათი.

კ. დოგორჯგინიძე

• • •

ტყიბული („კომუნისტის“ კორ.). ქვანახშირის მაღაროებსა და კოლმეურნეობებში მაღალი პოლიტიკური აქტივობით ჩატარდა თავდაცვის სახალხო ფონდის შექმნისადმი მიძღვნილი მიტინგები. სტალინის სახელობის დასავლეთის მაღაროში მიტინგის მიმდინარეობის დროს მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა თავდაცვის ფონდში 11.500 მანეთის დანაზოგი შეიტანეს. სამამულო ომის დამთავრებამდე მუშები ყოველთვიურად შეიტანენ თავდაცვის ფონდში ერთი-ორი დღის ხელფასს.

კოლმეურნეებს თავდაცვის ფონდში ყოველთვიურად შეაქვთ ორ-ორი შრომადღის ღირებულება.

დ. საგელაშვილი

• • •

ცხაკაია („კომუნისტის“ კორ.). რკინიგზის კვანძის მუშა-მოსამსახურეებმა გადასწყვიტეს სამამულო ომის დამთავრებამდე ყოველთვიურად შეიტანონ თავდაცვის ფონდში ორ-ორი დღის ხელფასი. 3 აგვისტოს, „რკინიგზელის დღეს“, ცხაკაიის რკინიგზის კვანძის მუშა-მოსამსახურეები, სულ 129 კაცი გამოვიდა სამუშაოდ და ამ დღის ხელფასი მთლიანად გადარიცხა თავდაცვის ფონდში.

ცხაკაიის პარტრაიკომის, შინსახკომის განყოფილების, სახელმწიფო ბანკის ფილიალის და სხვა დაწესებულებების თანამშრომლებმა თავდაცვის ფონდში შეიტანეს ნაღდი ფული, ობლიგაციები და სურვილი გამოსთქვეს ყოველთვიურად შეიტანონ ერთი-ორი დღის და მეტი ხელფასი. ამხ. შონიამ შეიტანა 300 მანეთი და 1.000 მანეთის ობლიგაციები, ამხ. ჩაგუნავამ—5 დღის ხელფასი და 500 მანეთის ობლიგაციები, სატყეო სექციის დირექტორმა ამხ. დ. ჯალაღანიამ — 500 მანეთი და 1.000 მანეთის ობლიგაციები, ამხ. ქ. იოსავამ 500 მანეთი და 500 მანეთის ობლიგაციები.

თავდაცვის ფონდში დანაზოგთა შეტანა გრძელდება.

ს. კუჭავა

• • •

მათხოჯის სასოფლო საბჭოში შემავალი სოფლების კოლმეურნეებმა და მუშა-მოსამსახურეებმა 2 აგვისტოს შეაგროვეს 3.100 მანეთი და შეიტანეს თავდაცვის ფონდში. მუშა-მოსამსახურეებს ყოველთვიურად შეაქვთ ორ-ორი დღის ხელფასი, ხოლო კოლმეურნეებს—ორი შრომადღის ღირებულება.

შეაქვთ თავდაცვის სახალხო ფონდში

★ **წალენჯიხის ლ. პ. ბერიას სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობის** მუშა-მოსამსახურეებს ყოველთვიურად ორი დღის ხელფასი, რაც შეადგენს 16.000 მანეთს. ამას გარდა მათ უკვე შეიტანეს 25.000 მანეთის ობლიგაციები.

მეურნეობის მუშაკმა ამხ. ს. კვარაცხელიამ შეიტანა 500 მანეთი და ოქროს სამაჯური.

★ **თბილისის რაიონის ჯანმრთელობის განყოფილების თანამშრომლებმა** უკვე გადარიცხეს თავდაცვის ფონდში აგვისტოს ერთი დღის ხელფასი—2.370 მანეთი. ეს თანხა გადარიცხული იქნება ყოველთვიურად ომის დამთავრებამდე.

★ **ვანის რაიონის საწარმო-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურენი** ყოველთვიურად 5 დღის ხელფასს რიცხავენ თავდაცვის ფონდში. თავდაცვის ფონდის შექმნის შესახებ ცნობის მიღების პირველ დღესვე მათ შეაგროვეს და ჩააბარეს ბანკს 14.440 მანეთი.

★ **ამიერ-კავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზის სამტრედიის კვანძის მუშა-მოსამსახურეებმა** 3 აგვისტოს კვირაობაზე გამოიმუშავეს 4.686 მანეთი ხელფასი და ეს თანხა მთლიანად თავდაცვის ფონდში შეიტანეს.

★ ამხ. **ვ. ე. სალაძეს** (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი)—1.000 მანეთი ფულად;

★ **პ. ფრანგიშვილს** (გორის სახელმწიფო თეატრის დირექტორი, რეს. სახ. არტისტი)—500 მანეთი ფულად, 2.000 მანეთის ობლიგაციები და ყოველთვიურად 3 დღის ხელფასი;

★ **ლ. ი. ლოზოვაიას** (თბილისის მე-58 სკოლის მასწავლებელი) — ოქროს საათი სამაჯურით;

★ **ე. დ. კობიაკოვას** (იმავე სკოლის მასწავლებელი) — ვერცხლის კოვზები;

★ **ქ. გ. ქასრიძეს** (იმავე სკოლის მასწავლებელი) — ოქროს გულსამკაული და ჩაის ვერცხლის კოვზები;

★ **ლ. კ. ჟვანიას**—ოქროს ბეჭედი;

★ **ტ. პ. სოროკინას**—ვერცხლის სამი მანეთიანი;

★ **ე. მ. პანტელეიმონოვას** — ვერცხლის ჯვართი;

★ **პ. ა. გნეტოვს**—ვერცხლის პორტსიგარი;

★ **ქ. ხ. ლუზინას** (დიასახლისი)—142 გრამი ვერცხლი;

★ **ს. მ. ევოიანს** (თბილისის კალინინის სახელობის ქარხნის მუშა)—ჩაის სამი ვერცხლის კოვზი;

★ **ს. კ. კვარაცხელიას** (საქართველოს კიროვის სახ. ინდუსტრიული ინსტიტუტის თანამშრომელი ქალი) — ოქროს ბეჭედი ალმასის თვლით;

★ **ე. ი. სანადირაძეს** (თბილისის მე-94 სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე, კომკავშირელი)—ვერცხლის პორტსიგარი ოქროს წარწერით;

★ **ლ. კვირიკაშვილს** (ქარელის რაიონის, სოფ. რუისის საშუალო სკოლის დირექტორი)—1.000 მანეთი ფულად, 710 მანეთის ობლიგაციები და ყოველთვიურად 5 დღის ხელფასი.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ვანის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2857046, გაცემული იოსებ ლავრენტის-ძე **ნაფეტვარიძის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2860985, გაცემული რაჟდენ ბესარიონის-ძე **ქურცაძის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 3721299, გაცემული არჩილ იაკობის-ძე **კაპანაძის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიკომი აცხადებს, რომ პარტსაკანდიდატო ბარათი № 3086571, გაცემული ლავრენტი გაბრიელის-ძე **იობიძის სახელზე**, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 3302508, გაცემული პლატონ სიმონის-ძე **ბოკუჩავას** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ., დამკვრელი (საზაფხულო და ზამთრის) — „მტრის ზურგში“, **ოქტომბერი** — „პეპო“, **კომკავშირელი** (საზაფხულო) — „ახალი ჰორიზონტი“, **კომკავშირელი** (ზამთრის) — „ვოლგა-ვოლგა“, **სპარტაკი** — „ვაჟკაცობა“, **ლუქსემბურგის სახ.** — „დაუღალავი მეგობრობა“, **26 კომ. სახ.** (საზაფხულო) — „გადასასვლელი“. **26 კომ. სახ.** (ზამთრის) — „მთის ნაკადი“, **კომინტერნი** — „კაცი რესტორანიდან“, **განთიადი** — „უმაღლესი ჯილდო“, **ვოროშილოვის სახელობის კლუბი** — „მეხუთე ოკეანე“. **საზკვების კავშირის კლუბი** — „ტანკერი „დერბენტი“, **ორჯონიკიძის სახ. პარკი** — „დიადი განთიადი“, **გორკის სახელობის კლუბი**—„კინო-კონცერტი“, **წითელი არმიის სახლი**—„ვაჟკაცობა“, **ნავთლუღის რკინიგზის კლუბი** —„ლიანდაგებზე“. **დღის სეანსები. დამკვრელი** — „წითელი ეშმაკუნები“, **სპარტაკი** — „არსენა“, **26 კომ. სახ.** — „მეგობრები“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

საქართველოს ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო
ინსტიტუტი აცხადებს,
რომ ინსტიტუტში შემსვლელთა განცხადებების მიღება
გაგრძელებულია აგვისტოს 20-მდე.

მიღება სწარმოებს ყველა ფაკულტეტზე (ს. მ. მექანიზაციის, ტექნოლოგიის, აგრონომიული, მებაღეობა-მევენახეობის, სუბტროპიკული კულტურების, მცენარეთა დაცვის, მეაბრეშუმეობის და სატყეო-სამეურნეო).

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის კანცელარიაში— მარის ქ. № 33.

ინსტიტუტის დირექტორი დოც. ნ. გელაშვილი.

ლიმანტრესტის საჩვენებელი მაღაზიის ადმინისტრაცია იუწყება
არკადი არკადის-ძე მნაცაკანოვის
გარდაცვალებას. 12386

მილიციის I რაიონის განყოფილება იუწყება ამავე რაიონის მილიციის უფროსის ნიკოლოზ აბოსის დედის ელენე ივანეს-ასულ **ციტრიციკის** გარდაცვალებას. გამოსვენება 8/VIII 5½ ს. ხოდიოშვილის ქ. 8. კუკიის სასაფლაოზე. 12387

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა, № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის—3-62-26; პ/მგ. რედაქტორის მოადგილისა—3-63-03; პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67; პ/მგ მდივნის მოადგილისა—3-06-88; განყოფილებისა: პარტიული და პროპაგანდის—3-81-84; სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83; ლიტერატურისა და ხელოვნების, განათლება—ჟანერთლობის და ინფორმაციის—3-80-84; სამხედროსი—3-57-61; წერილების—3-73-24; პ/მგ. მოკრიბისა და გამოგზავნის—3-81-65; გამომცემლობის—3-51-81; სტამბის დირექტორის—3-77-70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. 1 უე 35515